ლოცვის 40 დღე

აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორია, 11 აპრილი-23 მაისი



დღე *5* | *17* აპრილი | ბათუმი

ბრძოლა რეალურია

რთული დრო დაგვიდგა და წინა წელიც ძალიან რთული იყო: კორონა ვირუსი, პოლიტიკური მდგომარეობა, სამუშაო არ არის და ხალხს უჭირს. და არც ამ წლის სამი თვეა არის უკეთესი. ბევრს აქვს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალში იქნება კი უკეთესობა?

რეალური ბრძოლა - ბრძოლა რომელიც არსებობს. რეალური ბრძოლა რომელიც არის არა მარტო საზოგადოებაში, არამედ ოჯახებშიც, მეგობრებთან და ქუჩაშიც. ჩვენ კი უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ქრისტიანული ბრძოლა არ არის რეალური ადამიანების წინააღმდეგ. როგორც ეს არის ნათქვამი წმინდა წერილებში - ეფესელთა მიმართ წერილის მე-6 თავში. წავიკითხოთ მე-10-18 მუხლების ჩათვლით:

დასასრულს, ჩემო ძმებო, გამაგრდით უფლით და მისი ძალის სიმტკიცით. შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი, რათა შეძლოთ წინაღუდგეთ ეშმაკის ხრიკებს. რადგან ჩვენი ბრძოლა არ არის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ, არამედ მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ სიბნელის სამყაროს მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ. ამიტომ ხელი მოჰკიდეთ ღვთის სრულ საჭურველს, რათა შეძლოთ შეწინააღმდეგება ბოროტ დღეს; და ყველაფრის გადამლახველებმა გაძლოთ. მაშ, იდექით ჭეშმარიტებით წელშემოსარტყლულნი და სიმართლის ჯავშნით შემოსილები. და ფეხშემოსილნი მზადყოფნაში მშვიდობის სახარებლად. და ყოველივე ამასთან ერთად აიღეთ რწმენის ფარი, რომლითაც შეძლებთ ბოროტის გავარვარებული ისრების ჩაქრობას. აიღეთ ხსნის მუზარადი და სულის მახვილი, რომელიც არის ღმერთის სიტყვა. ყოველგვარი ლოცვით და ვედრებით ილოცეთ ყოველ ჟამს სულით და ამაზე იფხიზლეთ მთელი დაჟინებით და ლოცვით ყველა წმიდასთვის;

რადგან ჩვენი ბრძოლა არის ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ. მოდით ვილოცოთ.

ქება და დიდება შენ ჩვენო დიდებულო მამაო. შენ ხარ ძლიერი უფალი, ყოვლის შემძლე მამა. მხოლოდ შენ გეკუთვნის მთელი პატივი, დიდება და ქება. მადლობა უფალო იმისათვის, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა მოგმართოთ იმ ყველაფრით, რაც გვაქვს ჩევნს ცხოვრებაში. ჩვენი სიხარულით, მწუხარებით და შეგვიძლია

დღე *5* | *17* აპრილი | ბათუმი | გვერდი *2*

მოგიყვეთ ის, რაც გულში გვაქვს. ახლა კი გთხოვთ სულით აგვავსე, გაგვამაგრე და მოგვეცი სიბრძნე. მიეცი ყველა ქრისტიანს და ქრისტიანულ ეკლესიებს იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი ბრძოლა არის ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ. და ჩვენი უმთავრესი იარაღია - ჩვენი რწმენა, რომელში ვმტკიცდებით; ხსნას - რომელსაც ვინარჩუნებთ; კეთილ საქმეებს - რომელსაც ვასრულებთ. ჩვენი სურვილით ვიქადაგოთ და ვესაუბროთ მსოფლიოს შენი ხსნის შესახებ და იმაზე, რაც შენ გვიბოძე. და ჩვენი იარაღია ლოცვა. ჩვენ ვილოცებთ, რომ გამარჯვება იყოს შენი! რომ ბრძოლა, რომელიც წუთისოფელშია, იყოს შენს მიერ გადაჭრილი. დაე, ამაში შენი დიდება იყოს. ამინ!